

1990

ISSN 0132-6015

საქართველო

თავისუფალი
გაზეთი



თავი დავალებით გიურკრატიზმის გორაკილებს!

ნ. ჯ. ლომასი

ნურ, შეჭრე რ იკითხე!

საითყენაც სურს. მეჭოთხე ქოთანს ყურს
შენ კი გულმშვიდად იყავი! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

სულ ერთიანად გიყლეტენ აქეთ მგლებსა და
შენ ნურაფერი გაღელვებს! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

თმა გადაგპარსეს პირწმინდად, თავზე გადგამენ
შენ ნურაფერი გაშფოთებს! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

მესანგრის ბარით გიჩეხენ აქეთ მკერდსა და იკითხე —
შენ არხეინად იყავი! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

„სი-ეს“-ით გასცეს პასუხი, ჩვენ რომ გვაწუხებს,
შენ ნურაფერი გადარდებს! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

მოგისპვს, გაგიტიალეს აქეთ ველი და იკითხე — ტყე!
შენ მაინც შენი აკეთე! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

თანამოძმეებს უჩვენე შენი ქართული სიფიცხე!
ხელში აიღე კალამი! — წერე, ბეჭდე და იკითხე!

მაგრამ ვაი, რომ სიზიფეს ამო შრომას კისრულობ!
იმ შენს წერილებს, კოლეგავ, მხოლოდ მე და
შენ ვკითხულობთ!

მილიონობით რუს მკითხველს თავისი პრესის
ჩემი და შენი ნაღვაწი იმას ფეხებზე ჰკიდია!

ამიტომ წამში „გვიჯოკრავს“ ჩვენს ნაცოდვილარს,
„სოვეტსკაია როსია“ და „ლენინსკოე ზნამია“!

სურთ სული გაგვძვრეს ამაოდ ციურ სამართლის
და თავის დანაშაულზე ჩვენ გვახდევინონ ბოდიში!

უსამართლოთა არმია ბრალს გვდებს და პასუხს
ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია? — ვწეროთ, ვბეჭდოთ და
ვკითხოთ!

ნუგზარ აფხაზავა

გაგონილ-მოგონილი

ჩვენ ვიკითხოთ ზაფხულის პაპანაქებაში, თორემ იმათ რა უკირთ, ვინც ჩრდილოვან ეკონომიკას შეაფარებს თავს!..

უსხმო ცივილიზაციებმა მოუხშირეს ჩვენ-
კენ მფრინავი თეფშების გამოგზავნას და ეგებ ზედ ცო-
ტა საკმელიც დაგვიწყონ!..

პართულ ღარაკიან სიტყვას „პურ-მარილი“
გადაგვარება ემუქრება: მარილი გაქრა, თუმცა პური
ჩერ კიდეც გვაქვს!..

საავადმყოფოებში ისე გამწუვარია მედიკამენტე-
ბი, რომ არ გამოიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს
ტელეეკრანიდან გამოგვიცხადებენ — თუ ვინმეს გაქვთ
ასკოფენი, გთხოვთ ამა და ამ ნომერზე დარეკოთო!..

შაქრისა და მარილის მწვავე დეფიციტთან დაკავ-
შირებით ხომ არ შემოვიღოთ იმ პირთა დონორობა,
ვისაც შაქრიანი დიაბეტი ან მარილების დაგროვება
სკირს?!.

გაიგონ-მოიგონა
თამაზ ებანოიძე

სორცის დასლთან

- უტალონო ცხვრის ხორცი აქეთ!
- ძალიან გამბდარი ოოა?
- თობლია, ბატკანი ხო არ არი?
- შენ მსუქანი თობლი არ გინახავს?
- არა!
- ვინ თობლავს ნავას?
- კაოვი ოა, ბიძა, უყეთის ხორცი არა მაქ!

II

- სადაუროია ეს საქონლის ხორცი?
- ფუანგული!
- ზუუ!
- რაო, არა გჯეოამს?
- ვითომმა მჭერა, მაგოამა... აბა, ის რაოა არი: გაჭაგრდა ქეთე-
ლაური, ფერი დაიდვა მგლისაო, ზელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი
ამოხდა მზისაო, უქნივა მოწვერს ქედზედა, თავი მიგორავს ძირსაო!
- გითხარი, ფრანგული მოზურისა კი არა, ფრანგული ძროხის
ხორცია! ტალონი თუ არა გაქ, ხელი გაიკარ ჩიბესა და კილო სამ
მანეთად მიირთვი!

გაფიცული

- მ: მ: — რატომ არ წაბრძანდა ეს ვაუბატონი სამსახურში?
- დ: დ: — წუხელ ორ საათზე მოვიდა. „გათიშული ვარო“,
თქვა, დღეს კიდეც, ენაცვალოს დედა. „გაფიცული ვარო“. მითხრა
და დაიძინა

ალექსი ზინჭარაული

გამოცდაზე

- გამომცდელი: — რა საერთოა ამ სიტყვებს შორის: მიქსტურა,
რა, მაკულატურა, დიქტატურა, კომენდატურა?
- სტუდენტი: — ტურა, ბატონო!
- გამომცდელი: — კიდევ?
- სტუდენტი: — ურა, ბატონო!

ყურმოკრული დიალოგი

- რა ღირს, თუ ძმა ხარ, ეს სოსისი? როგორ გავიგოთ, თბილის-
ში 5 მანეთია, ხოლო ჩვენთან — 10 მანეთი! რომელ სარტყელში
ვართ ჩვენ?
- კოოპერატივის სარტყელში!

გაგზარ ნოზაძე
(ქ. გორი)



საჯაროობამ თითქოს ის ფარდა ასწია, რომელიც სინათლეს ფარავდა. უცებ ყველაფერი განათდა: წარსულიც, აწმყოც და; რაც მთავარია, ნათლად გამოიკვეთა მომავლის კონტურები!.. თავდახრილებმა თავი ასწიეს, ძილში მყოფებმა გაიღვიძეს, უძრავობის სენით შეპყრობილნი ამოძრავდნენ, ბეცებს თვალები აუხილათ, მოხრილები წელში გასწორდნენ!.. ჩვენი მომავალი — ქალიშვილები და ჭაბუკები — გააქტიურდნენ და ეროვნული მოძრაობის სათავეში მოექცნენ!..

საჯაროობამ სიყვარულიც სააშკარაოზე გამოიტანა, სიყვარულს ახლა მალვა აღარ უნდა და არც ცხენის ქურდობაა მოადში!..

აი, ქალ-ვაჟები, დღისით-მზისით, ხელი-ხელჩაკიდებულნი ან ხელიხელგადახვეულნი, ან თავი თავს მიდებულნი დადიან ქუჩებში ლალად და სიყვარულის დასამტკიცებლად, დედასამშობლოს — საქართველოს იფიცებენ!

დღეს ყველას ესმის, რომ სამშობლოს სიყვარულის აღიარება ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ იგი საქმით არ იქნა განმტკიცებული! სწორედ ამ პოზიციაზე დგას ჩვენი ახალგაზრდობა!.. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ეროვნულ მოძრაობაში ქალიშვილები ტოლს არ უდებენ ჭაბუკებს. უფრო მეტიც, ისინი თავდადების მაგალიტს იძლევიან და მზად არიან, უყოყმა-

ნოდ დადგნენ სამშობლოს ერთგულ დამცველთა რიგებში!.. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ გამოღვიძებას ხედავს ყველა, მაგრამ საუბედუროდ ყველაფერი ეს დაინახა მტერმაც! სწორედ ამიტომ იყო, რომ როდინოვმა და მისმა ხროვამ მახვილი, უპირველეს ყოვლისა, ქალების წინააღმდეგ აღმართეს!..

9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ბევრი ითქვა და, ალბათ, უფრო მეტი ანი ითქმება, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ვანდალურ, სისხლიან აქციაში საკმაოდ ნათლადაა გამოხატული გენოციდის სინდრომი, საერთოდ ქართველი ერის და კერძოდ ქართველი ქალების მიმართ! დიხხ, ქართველთა გამრავლების საწყისის — ქალების ხოცვა-ჟლეტა გენოციდის ყველაზე ბარბაროსული გამოვლინებაა!

როგორი დაუფინყარიც უნდა იყოს ის სისხლიანი კვირა, იგი მაინც ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ, როგორც ვიცით, სისხლიან კვირას უკვალოდ არ ჩაუვლია — 9 აპრილმა ქართველ ერს თვალები აუხილა და ყველას დაანახა, თუ:

**ვინ ყოფილა მტერი და ვინ — მოყვარე!
რა სისტემით მუშაობს ჩვენი სისტემა!
როგორი გენერალური ხაზი ჰქონია ზოგ სამჭოთა გენერალს!**

საჯაროობას ჯარის სუნი რატომ უდის. ვისი და რისი დამცველი ყოფილა საბ-

ჭოთა არმია, რომელმაც ქართველ ქალებს ათქმევინა: ღმერთო, დაგვიცავი ასეთ დამცველებისგანო!..

რა ძალა ჰქონია მომდერალ და მლოცველ ქალს, რომელიც ტანკებზე ძლიერი აღმოჩნდა!

როგორც ვხედავთ, მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, სისხლიანმა კვირამ დიდი დამარცხება მოუტანა ჩვენს მოწინააღმდეგეს, რადგან მან ვერ გატეხა ქართველი ხალხის სული და აპრილის გმირები ქართველ ერთან დარჩნენ სამუდამოდ!..

ახლა ისლა დაგვრჩენია, გავისხენოთ გალაკტიონის სტრიქონები:

**„დიდება ხალხისთვის წამებულ
რაინდებს,
ვინც თავი განირა, ვინც სისხლი
დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად
აინთებს!..“**

და სამშობლომ ხალხისთვის წამებულ გმირთა ხსოვნა მართლაც სანთლებად აინთო!..


გენიალური პოეტის ეს უკვედავი სტრიქონები 71 წელი ელოდა „ხალხისთვის წამებული რაინდების“ გამოჩენას!

გიგლა ბახტაძე

ნახ. ვ. კუციანის



— ტალონებზე საქართველოს გაყიდვასაც ხომ არ აპირებთ?!



ან უპიცობის გამო!..

ფელეტონი

ქოთანი მექოთნემ უნდა აკეთოსო, უთქვამთ. პოდა, როცა მოქალაქე მზია კუპრეიშვილს სოფელ ქოლობანში, მოქალაქე ოთარ ვასაძის ოჯახში, ქორწილში ყოფნისას, დაეკარგა ძვირფასეულობა, აბაშის რაიმილიციას ეწვია, მიშველეთ, ნათესავის ოჯახში, მაგიდაზე ექვსი ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა დამრჩაო!

რაკი „დარჩენა“ იურიდიულად ისეთი კატეგორია გახლავთ, რაზედაც სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება, რაიმილიციის თანამშრომლები შეეცადნენ „ზეპირად“ დახმარებოდნენ დაზარალებულს. დაუტკბნენ კუპრეიშვილის მიერ ეჭვმიტანილ მურად სართანასა და წელი ფრანგულაშვილს, შეაგდეს ნამუსზე, მაგრამ „დაბალი მოქალაქეობრივი ზნეობის“ პირებმა დანაკარგის მითვისება არ აღიარეს!..

ფაქტიურად საქმე ამით უნდა დამთავრებულიყო, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, „დარჩენა“ იურიდიულად ბრალეულობაში არ გადის. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, აეღო მზია კუპრეიშვილს ნაჯახი, დაეკრა ეჭვმიტანილებისათვის, გამოედინა სისხლი და სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრებოდა, მაგრამ დაზარალებული ასე არ მოიქცა, იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვია!..

აი, აქედან დაიწყო ხუთწლიანი ოდისეა! აბაშის რაიონის პროკურორმა კ. შონიამ, 1986 წლის 1 აგვისტოს გზავნილობით, რაიმილიციის უფროსს ზ. თელიას აცნობა, მოეძებნათ და დაებრუნებინათ მ. კუპრეიშვილისათვის დანაკარგი. ამდენად საქმემ მიიღო სისხლის სამართლის საქმის სამოსელი! ძიებამ „სისხლის სამართლის“ მანტიითაც ვერ წაიწია წინ!

მ. კუპრეიშვილი კვლავ სამინისტროში მივიდა! სამინისტროდან 1987 წლის 9 მარტით დათარიღებული, დამამტკუნებელი პასუხი მიიღო. იმედიან წერილს ხელს სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. წკრიალაშვილი აწერდა.

დაზარალებული სიხარულით ცას ეწია, მაგრამ ოთხიოდე თვეში მან, დანაკარგის ნაცვლად, იმავე სამინისტროდან მიიღო მოკვლევის სამსახურის უფროსის ვ. კირვალიძის წერილი, საქმეს პროკურატურას გადაეუბრუნებო!

ერთი თვის შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. კერესელიძემ აღნიშნულ „სისხლის სამართლის საქმეს“ მუხლიც (150-ე, II ნაწილი) მიუსადაგა და მ. კუპრეიშვილს აცნობა, იგი გამოსაძიებლად აბაშის რაიმილიციას გადაეუბრუნებო!


ნ. კუპრეიშვილმა და შემდეგ სხვებმაც, ვინც კი ამ საქმის ვითარება გაიცნო, გაიკვირვეს, ეს რა გადაგზავნა-გადმოგზავნა აუტყდათო, მაგრამ შენიშვნა და გაცოცხლება რას უშველიდა საქმეს?! აბაშის რაიმილიციამ ამასობაში აცილების უფლება გამოიყენა და საქმე სენაკის რაიმილიციას გადაუგზავნა! ამის შესახებ დაზარალებულს ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის ტ. სულხანაშვილის მიერ 1988 წლის 6 ივნისს № 39/სკ, 19 წერილით.



აქამდე, როგორც ვიცით, ეძებდნენ „დარჩენილ“ სამკაულებს, 1988 წლის 14 სექტემბრიდან მიმონერის შინაარსი შეიცვალა და სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მ. ჯავარიძის ამ რიცხვით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „... ქურდობის ფაქტზე...“. აქ ვითარება დიამეტრიულად იცვლება, ადრე თუ იურიდიულად საქმის აღძვრაც არ შეიძლებოდა, ახლა იგი „ქურდობად“ გადაიქცა და მილიციას სწორედ რომ ევალება ქურდების მხილება!

რა მოხდა შემდეგ? შემდეგ საქმე სენაკის რაიმილიციამ ისევ აბაშის რაიმილიციას გადაუგზავნა. იქიდან კი 1989 წლის 1 დეკემბერს მ. კუპრეიშვილმა მიიღო აბაშის რაიმილიციის უფროსი საგამომძიებლის რ. კვარაცხელიას შეტყობინება: „საქმის გასახსნელად და დამნაშავე პირების დასაკავებლად ტარდება ოპერატიული ხასიათის ღონისძიებანი“.

ღმერთმა ხელი მოუმართოს უფროს საგამომძიებელ რ. კვარაცხელიას! იმედით ცხოვრობს კაცი და მ. კუპრეიშვილი რა გამოწყლისია, მაგრამ... აბაშის რაიმილიციას, როგორც ხელმძღვანელებთან საუბარში გაირკვა, ამ უთავბოლო საქმის კეთილი დასასრულის არავითარი იმედი არ გააჩნია!



ჩვენი ფელეტონის დამთავრება მართლაც რომ აქ შეიძლებოდა, ერთი გარემოება რომ არა, კერძოდ, სათაურში გამოტანილი სიტყვები „... დაუდევრობის ან უვიცობის გამო!..“


საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს ზეჰუმანურ და უზუსტეს იურისპრუდენციაში „დარჩენილი“ ნივთი კი არა, დედისერთა ბავშვიც რომ იყოს, საქმე არ აღიძვრება! საძვრომიც სწორედ არ აღძვრავა და ამასობაში მზია კუპრეიშვილის სამკაულების „მოპოვებულებმა“ იმ ოქროს ნივთების პირვანდელ პატრონზე უკეთ შეინახეს ისინი! დავიჯეროთ, რომ აბაშის რაიმილიციის ზემდგომემა, თვით სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელმა მუშაკებმა არ იცოდნენ იურისპრუდენციის ეს ანბანური ქეშმარიტება? ძნელი დასაჯერებელია! თავმოყვარე ჟურნალისტი ვერც აკადრებს მათ ასეთ ბრალდებას! მაშ, რა? — დაუდევრობა, შემოსულ საქმეზე გაუცნობლად რეზოლუციის დადება და მისი თავიდან მოშორება?

ამ კითხვებს, ალბათ, თუ დანტერესდებიან, რაღა თქმა უნდა, პასუხს უფრო ზემდგომი ამხანაგები გასცემენ!

მანამ კი, საქმის დასასრულის ხუთწლიანი ლოდინის შემდეგ, საგამომძიებელ რ. კვარაცხელიას იმედიანი სიტყვით უნდა დაპურდეს მ. კუპრეიშვილი: ნნამდეს ქალბატონ მზიას, ნეტარ არიან მორწმუნენი!

დავით ასკუტაძა

კოჩია, როგორ
იქნა, მივიწყეთ
შენი განთავისუფ-
ლოების ფუტკედი!



ცენტრალშია

კარგ ცხოვრებას რომ გვპირდება
შვიდჯერ ათი წელია.
ცენტრი, თითქოს „მედროშე“ და
ჩვენი „ბურჯი“, „მხსნელია“!
ცენტრი გვმართავს, ცენტრი გვემგზავს,
ცენტრი კანონს გვიწესებს,
ოღონდ პასუხს აღარ აგებს
მრუდელ ჩავლიდ იმ წლებზე!..
ცენტრი იქცა ჩვენს „მესაქედ“
და ცხოვრების აქცენტად.
ამ სისტემამ ცენტრალურმა

დაგვმოკა და დაგვცენტრა...
დავალება, მითითება
და ცხოვრების წესი, მოლა —
ყველაფერი, ყველაფერი
მოდის მხოლოდ ზემოდან!
ცენტრი ვითომ აწერიაგებს
ჩვენს ცხოვრებას ფერშიბილს,
მოგვები ცენტრში მიდის,
ხოლო ვალეებს ჩვენ ვიხდით!
ცენტრი გვაძლევს „ვალეებს“, „ხეხებს“,
არც კი გვეყოფნის ხარჭებად.

პროდუქცია ცენტრში მიდის.
ნარჩენები აქ რჩება..
ვითომ არის „მძლე კავშირი“.
შეგვაერთა ვინც ოდეს..
სოფელში რომ სახლს აშენებ.
ცენტრმა უნდა იცოდეს!
თითქოს არის მაგალითი
პუმანიშვის, სამართლის,
ჩვენგან მიაქვს, ყველაფერი
და თავს აქეთ გვამაღლოს!..
ჩვენო ერო, ქედუბრელო,
ბრძოლით, შრომით გარჯილო.
ცენტრმა მუქთად კიდევ ნეტავ
სანამ უნდა „გვარჩინოს?!“

ვანო ცინცაძე

მეგობრობა



მეგობრობა
მეგობრობა

მისაღები გამოცდებით ინსტიტუტს იოლ მოვარგე გასაღები, მაგრამ საერთო საცხოვრებელი დამრჩა, ვით ციხე აუღებელი. ასე დავრჩი ინსტიტუტს შიგნით, საცხოვრებელს გარეთ და ბინის დასაქირავებლად სად აღარ ვიარე!..

ნაქირავებ ბინაში ცხოვრებას ქირის გარდა სხვა სირთულეც დაემატა — მეცადინეობის დროს ძალიან მჭირდებოდა მუსიკალური ფონი — ან რადიო, ანდა მაგნიტოფონი!.. ვფიქრობდი, საიმედოდ დამიცავდა წყნარი სიმფონია, რომ არ მომწვდენოდა და ხელი არ შეეშალა ჩემთვის ქუჩის კაკაფონიას!

დღესდღეობით კი არ მქონდა ფონი, არც ტრანზისტორი და არც გრამაფონი.

მალაკან ლიკას მდგმური ვიყავი, ხოლო მარტოხელა მალაკან ლიკას ძალიან უყვარდა ბალალაიკა. ხშირად ხდებოდა, რუკაზე ვეძებდი მადაგასკარს, იამაიკას, გარედან კი ბაიკალთან გასულ მანანწალაზე სევდიანად მოსთქვამდა ბალალაიკა.

ერთი შეხედვით, უკეთესი მუსიკალური ფონი ვერ მეძებოდა ვერც რადიოთი და ვერც მაგნიტოფონით, მაგრამ მალაკან ლიკას შაირებს ახლდა რაღაც სხვა სიმბოლიკა, რაზედაც მეტისმეტად ატყობილად ჟღერდა ბალალაიკა:

„შია მილაია ზაბალელა, ზახატელა მალაკა, ნე პაპალა პად კაროვე, ა პაპალა პოდ ბიკა!..“

მესმოდა სულ ახლოდან და იმის მაგიერ, რომ წარმოემდგინა, სად იყო ძველი პონტო, სპერი თუ ლაზიკა, სულ სხვა მხარეს მახედებდა ბალალაიკა... თვალნათლივ ვხედავდი კაბანამოხდილ „მილაიას“ ბუღის ქვეშ მოხვედრილს თავისი წილი რძის მისაღებად, რაზედაც მღეროდა ლიკა გულისწამებდა.

არ მქონდა დამცავი ფონი, თავში არ შემდიოდა არც შექსპირი, არც კაფკა, არც ლუი არაგონი... მალაკანი ლიკა კი დაჰკიოდა ბალალაიკას და მე აღგზნებული ტანზე აღარ ვიჩერებდი ტრუსიკ-მაიკას...

ავდექი და ჩხვა ბინაში გადავბარგდი.

ჩემი ახალი ხაზინი — ოსი გოლა არც ღარიბი იყო და არც ბობოლა, მაგრამ ჰყავდა ძმაკაცი სახელად ჯოყოლა, ორივეს უყვარდა არყის სმა და მერე ძაან ხმამალა, თანაც რეჩიტატივით უწმანური ამბებისა და შაირების მოყოლა... მერე საცეკვაოს გაახურებდნენ!..

„იქიდანაც მოვიარე, საიდანაც ქარი ქროდა!“ — გაჰყვიროდნენ და თან იმისთანა ტაშს ააყოლებდნენ ხოლმე, თითქოს სიპ ქვეს უჭახუნებენო.

ავდექი და გადავედი სომეხ არტაშასთან, თან ისე მდიდართან, რომ მეგონა მოვხვდი ვინმე ფაშასთან. სომეხი არტაშა მწვადთან ერთად ყოველთვის ხუხავდა „არტაშატს“ და დღითიდღე აფართოებდა მდგმურების შტატს, ჰყავდა ქურდები, ვაჭრები, ბარიგები, ათს რომ ეტყვი და ერთს ვერ გაგიგებენ.

მათი მუსიკისაგან დაბნეილი გულს ვიბრუნებდი მედიკამენტით — ჭყიოდა ზურნა, ბლაოდა მედოლე, კიოდა კლარნეტი!..

„ბაღრაშია გადვიხედ და დავინახე გულის ვარდი, რა დღიდანაც დავინახე და იმ დღიდანვე შემიყვარდი!“

ტიუ, ტიუ, ტიუ, — ემონებოდა კლარნეტი.

ამაოდ ვიცობდი ყურებში ბამბებს, ამაოდ ვყლაპავდი საძილე აბებს, თვალბედაჭყეტილი ვინევი ლოგინში და უნებურად ვუსმენდი უწმანურ შაირებსა და სათავგადასავლო ამბებს...

„ავჭალისა გზატკეცილო, კარგი ხარ, შოფრებისთვის დაუჭკნობი ვარდი ხარ!“

რომ ველარადრით ვიგერებდი მაგნიტოფონით ათასჯერ გამეორებულ აბეზარ მოტივს, ხან ვბლაოდი და ხან ოთახში დავსტოვდი. მერე გამანარებელი შინ წავედი და სულ დავარბიე მშობლების ხელფასის ფონდი!.. მაგნიტოფონი ვიყიდე და იმ ღამესვე სიმფონიის პანგებში და ძილ-ღვიძილში ტკბილად ვიყვინთე. ჩავრთე მოცარტის სოლ მინორი, მერე დო მაჟორი და „იუპიტერი“ და ხელდახელ მოვიგერეე ხმაურიანი მტერი... მაგრამ მაგნიტოფონს მესამე დღესვე ჩაუნყადა ენა და ამით დამთავრდა ჩემი აღმავრენა!..

„შუა კარებს დავაცალე რუჭკები, ვერ წამიხვალ, გოგოვ, რას მურჩები!“

კვლავ ამიჭხინდა ყურებში ყინატეხილი ახვარი შოფერი. აქედანაც გავიქეცი და მდგმურად დავუდევი თათარ რამიდას, არსაიდან ხმა არ ისმოდა და ჩემი თავიც მალე დამშვიდადა, მაგრამ თურმე შინ არ ყოლია ბიჭი უსუფა, მოვიდა თუ არა, მაშინვე გაშალა სუფრა, დაჰკვილა ბაიათი და ააჭყვირა ზურნა, ზურნას ენაცვლებოდა საზი და თარი, და მღეროდა უსუფა იმაზე, რომ მისი იყო აზერბაიჯან-პაიასტან-გურჯისტანი!..

შორს აღარ წავსულვარ, იქვე ახლოს შევეკედლე ქორვაჭარ ცაცოს, სადაც ამდენი ხალხი უძარცვია, დაე, მეც მძარცვოს! სახლი ჰქონდა დიდი, თებულოდა სალიარკით, დენით, ნავით, თვითონ კრიკანგ ცაცოს კი ნიოდაგ ჩამოსტიროდა სიფათი. გამიხარდა, სული მოვიტევი, თავ-პირი ჩამოსტირის, სიმღერა არ ეყვარება-მეთქი. ბედზე არ მეტქმოდა საყვედურები, სანამ არ ვიხილე ცაცოს მდგმურები, თურმე ისინი საგანგებოდ შეურჩევია ცაცოს, ზოგი თურმე მუშტით ანცობს, ზოგი ქურდ-ბაცაცობს.

ჯერ არავფრთ იყო შემოფოთებული ჩემი მეცადინეობის მუსიკალური ფონი, დაბალ ხმაზე ჟღერდა მაგნიტოფონი, ის იყო, ჩათავდა ბეთშოვენის „მთავრის სონატა“, რომ ჩემი მეზობელი მდგურის კარზე დააკაკუნა ვიღაც სონას დამ, ატყდა შედახილები, ხვევნა, ქეფი, სადღაც კაცი აფრინეს, გახსნეს სეიფი...

„ნუ მკოცნი, ნუ მკოცნი, მეტკინა ტურჩები, დამეხა ახალი კაბა!“ — აღმუვლდა ვიღაც... „ვარსენიკას ტუფლი უჭერი, ჩულქი განიერი, მისი დანახვისთანავე ძილი წამომერი!“ — შემოსდახა მედოლემ და მას ხმა ააყოლეს კაკამ და თედოლემ.

„მარგო, მარგო მარგალიტა, მარგო!“ — მღეროდა ანსამბლი უფლიას ხელმძღვანელობით.

როგორც იქნა, გავაკეთებინე მაგნიტოფონი და კვლავ ფარად ვიფარე მუსიკალური ფონი. ერთ საღამოს ჩავდე ჩემი საყვარელი კასეტა, სიცოცხლითა და სიხარულით რომ მავსებდა. ღამე იყო სიამისი ფიფქებით მთოვარი, სულს ეღვენთებოდა ჰაიდნის „გამოსათხოვარი“, როგორც ჰამაკში მწოლს, ისე მარწევდა, ვებერის „საცეკვაოდ განწევა“, მერე ცოტა ხმამალა მომივიდა ყორყ ბიზეს სიუიტი და ალბათ ცაცოს მისი ხმა მიუვიდა. მომეჭრა, შენ აქ მაგისტანტებს თავი დაანებევიო, მე აქ სულ არ მჭირდება სირისტიანებო!

იმ ღამეს ბოღმისაგან ღვინოს მივეძალე და ისე დავთვერი, ლამის გარდავიცვალე. დილითლა მივხვდი, რომ კარი დამრჩენოდა ღია და მაგნიტოფონი აეცანცლა ვიღაც აყყას!.. ცაცოს და მისი მდგმურების გადამკიდვე გულა-ნაბადთან ერთად დარდიც წამოვიკიდე და იქაურობას გამოვეცალე!..

პატარა ვარ, ჯერ ოცისაც არ გავმხდარვარ, ინსტიტუტში კი მოვეწყვე, მაგრამ ჯერ რიგიანი შმოტკებიც არ მცმია და არც ფეხზე მომიბრდა რამე მოდული და იერიც დამკრავს მიაბიტური — „ისნის“ გოიმური ფესხაცმელი მაცვია!

ჯერ წვერიც არ გამხშირებია, ღინღმორეული დავიარები, რაც მაგნიტოფონი დავკარგე, ველარ გამირკვევია ცხოვრების ავ-კარგი, სულ ასე დაღვრემილი დავდივარ და გაუთავებლად ვიმეორებ გუნებაში:


„მშვიდობით, იარაღო! უშენოდ ველარასოდეს მოვიგერიებ ბაზრულ ლათაიებს, ადრე თუ გვიან მათი მსხვერპლი უნდა გავხდე!“

ამას ვფიქრობ და ყურებში ჩაჭედული აბეზარი და უწმანური კუბლეტიც იქვე შემომჭყვირის: **„შუა კარებს დავაცალე რუჭკები, ვერ წამიხვალ, გოგოვ, რას მურჩები!“** — მესმის ეს და ძალიან ცუდ გუნებაზე ვდგები.

ხან სად და ხან სად მომელანდება ჩემი დაკარგული მაგნიტოფონი.

მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ერთადერთო იარაღო, გულს მიკლავს იმაზე ფიქრი, რომ ველარასოდეს ველარ უნდა განახო!

ელგუჯა მირაბიშვილი



კვარტალი - საბჭოთავო

კვარტალი

ნაცნობა მოტივზე

— მოსკოვის მატარებელი წავიდა?
— მოვიდა, რო?!.

— თქვენს ფერმაში წიწილები დაიბოც-
ნენ?
— გამოიჩქენენ, რო?!

— საავადმყოფოს მშენებლობა დაამთავ-
რეს?
— დაიწუეს, რო?!


— ტალონებზე უველი აღარ არი?
— იუო, რო?!

— მაგ ხალხს სინდისი სულ აღარა
აქვს?
— ჰქონდა, რო?!

— ტაძრისკენ მიმავალი გზა დაგვაფიცუ-
და?
— ვიცოდით, რო?!

— რა უპეეს უველა ქვეყნის პროლეტა-
რებს?! დაშალეს?!
— შეაერთეს, რო?!

თამაზ ებანოძე



ნ.ბ. ბ. ფორჩხიძისა

— იპოლიტე ბაბუა, ხმის მისაცემათ არ მიდიხარ?
— სად მაქვს, ბაბუა, ხმა, ამდენი წლების მანძილზე ვაშა და
ურას ძახილის შემდეგ ხმა შემრჩებოდა?!

განსაყურებთა მეფე დიანსთან

— გთხოვთ, გვიპასუხოთ შეკითხვაზე, ბატონო თედო:
უზენაესის დეპუტატი თქვენც ბრძანდებოდით,
ალბათ, თქვენს საქმეს ხალხზე ზრუნვა საფუძვლად ედო,
ხალხიც ამიტომ გულმართალ და გამრჯეუ გლეხს გენდოთ!
— დიახ, მეც ვიყავ დეპუტატი, როს იყო ბინდი,
ერთგული შრომით მოვიპოვე პატივი დიდი,
მაგრამ რამდენად ღირსი ვიყავ უზენაესის,
მე ახლა, შვილო, ამ ჩვენს დროში ადვილად მივხვდი.
მასსოვს, მივიღე „დიპლომატი“ ბლოკნოტით, კალმით,
კარგი სასტუმრო, საჩუქარი (რატომ და რაში?!)
მე ხელისგულებს ვინილზედნი მქუხარე ტაშით,
ვადლეგრძელებდი მე იმ დღეებს პირსავე თასით!..
მორჩილებაში და შიშის ქვეშ აღზრდილს არც მსურდა
გამელო პირი, გამომეთქვა რაც მანუხებდა..
ეკონომისტის ცოდნაც მაკლდა, როგორ შევძლებდი,
მომეხმო აზრი, მიღებულს რომ გვერდს აუხვევდა?
თვალახელილი უკეთ ვხედავ იმ ბრმაყრუობას,
აზრთამრავლობის ცხარე გემო რომ არ ვიცოდით,
გონება ისე დავიწროვდა, ნაკლს ვერა ვგრძნობდით,
სიმართლის გზების ძიებისთვის ჩვენ არ ვიღვწოდით!
— ახლა თუ ისევ ავირჩევდნენ უზენაესში?
— ჩემი საქმეა, ვემსახურო გლეხთა მარჩენალს,
დაგრეხილ ვაზებს ენაცვალოს ჩემი მარჯვენა,
ხალხს კი სჭირდება ყოვლად სრული კაცის არჩევა!

ლალა მარტაშვილი

ნ.ბ. მ. აბაშვილისა



სახაშუში

— ამდენ ფულს რომ მართმევ, ეს ფხებო
საქონლისაა თუ მარდონასი?

შეხვეტი ჭ ნოვერა



ეროვნული
ბახუსის ზოგლიერთეკა
მოყვარულის
სიძლერა

სრულდება სამყვადეში

ეს კაცი ხატავდა, ძერწავდა, მაგრამ ხელოვნებას საფუძე-ლიანად არ გაჰყოლია და ერთ-ერთ დაწესებულებაში ორმოცი წელი ჩინოვნიკურ სამსახურს შეაღია. დამსახურებაც მიიღო და პერსონალური პენსიაც დაუნიშნეს.

მე და ის თითქმის ერთდროულად გავედით პენსიაზე. ერთი სახლის სხვადასხვა სადარბაზოში ვცხოვრობდით. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდით ეზოში!

ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, ეს კაცი, კაკო ბუჩუკური, ინდივი-დუალურ შრომით საქმიანობას შესდგომია — ბერეტების კერვა დაუნყია! ქალებისათვის ისეთ მოდურ თავსამკაულებს ამზადებს, მუსტარა ბუზივით ეხვევა თურმე!..

ერთ დღესაც მის სადარბაზოსთან შევხვდით ერთმანეთს. ცო-ტა ხნით შეეჩერდით, ამ მთისა და იმ მთისა მოკლდა ვთქვით. ის იყო, გამომეშვიდობა, მისი კარის მეზობელმაც გამოიარა და ახლა მან შემაყოვნა.

— გაკეთდა კაცი! — თქვა თავის მეზობელზე, რომელიც, ეს-ეს იყო, გაგვშორდა და ლიფტით ზემო სართულს აუყვა.

— გავიგე, მოდურ ბერეტებს კერავს!.. — მივუგე მე.

— ნიჭიერი კაცია. ხელად გამოიხაზა საქმე და შემოსავალიც კარგი აქვს!

— მაინც?

— სულ ცოტა, ექვსას მანეთს მაინც ღუნავს თვეში!..

— რას მელაპარაკები! პენსიაც შეუნარჩუნეს, პა?

— ასეა. მიუმატე ექვსასს ას ორმოცი მანეთი, ეგეც შენი შვი-დას ორმოცი!.. ღმერთმა მოახმაროს!

— მერედა, ჩვენ, მწერლებმა და ყურნალისტებმა რა დავაშა-ვეთ, ეს კანონი ჩვენზე რომ არ ვრცელდება? ჩვენ რა, ინდივი-დუალურ შრომას არ ვენევით?

— შენ, ძმაო, მუხას ეთამაშები! — ვითომ გამეხუმრა მეზო-ბელი. მერე ჩაფიქრდა და სერიოზულად მკითხა, — რაო, მაინც?

— რაო და, 350 მანეთზე მეტს თუ გამოვიმუშავეთ, იმ თვე-ში ზედმეტ თანხას პენსიიდან გვიჭრიან!


— რატომ ვითომ, მწერლის შრომა კოლექტიურიანო? ზედმეტი არ მოგივიდეთო?

— რა ვიცი, ღმერთმანი!.. ერთ პატარა ნოველაზე ექვსი თვე ვიფიქრე, რამდენიმე თვეც ვწერდი, ერთი წელიწადი რედაქციაში ედოთ!.. როგორც იქნა, დაბეჭდეს!.. ეს ახლახან!..

— კი, ნავიკითხე. კარგი ნოველაა, ბევრიც ვიცინე... ცოტა სევდიანიცაა. რამდენი აილე, ძმურად?

— მოჭრით გამოიმწერეს სამასი მანეთი... ხელზე მერგო ორას რაღაც. პენსიიდან შემეცხეს სამას ორმოცდაათამდე!.. ეს რა კანონია, არ ვიცი! ერთისთვის ისეა, მეორისთვის ასე!.. ერთი, კაკო ბუჩუკურს უნდა ვთხოვო, ეგებ კერვა მასწავლოს!.. ვითომ რა, ვერ შევეკარავ? ბერეტს თუ არა, სხვა რამეს... შიგადაშიგ ნოველებსაც დავენერ, რა ექნა!

თენგიზ გოგოლაძე



ღვინომ წამართვა სინდის-ნამუსი, ყანწის მეტს ქვეყნად ვერაფერს ვხედავ!.. მე ისე მიყვარს. ძმებო, ბახუსი, ჰიქა ღვინისთვის გავვიდი დედას! ქეთის ფული შემომეღია, მაგრამ მცნობენ და სუყველა მისმევეს!.. ვინაც ჩემსავით ნაღდი მსმელია, იგი ყოველთვის იშოვის სასმელს! ის რა კაცია, ჩემო ძმობილო, — ასეთი კაცი გავლანძლო მინდა, — რომ უძმარდება სარდაფში ღვინო და ტელევიზორს უყურებს მშვიდად! ღვინით იწყება სუფრის მზადება, ჰირსაც და ლხინსაც ამშვენებს ღვინო!.. კაცს რომ შინ ღვინო დაუძმარდება, იმას მთხლე უნდა დააღვინო! სიზმარშიც ვხედავ: თითქმის ღვინოს ვსვამ, ღვინო რომ ცუდი იყოს, ძამია, ეყვარებოდა ნიკო ფიროსმანს, იეთიმ გურჯს და ომარ ხაიამს? სახლში არ მიშვებს ცოლი ღვინო და სამსახურიდან თითქმის გამაგდეს, თუმცა მე ღვინო სახლში რა მინდა, რის ვეჭიბრები ცნობილ თამაგდეს, ან თავს ვაფარებ სარდაფს ხშირ-ხშირად, სასთუმლად ღვინის ბალონიც მყოფნის!.. სიდედრმა უკვე გამომიტირა, სიმამრი დამდეგს დანით და თოფით! სიგარეტს ახლოს არ ვეკარები, ვწრუპავ შამბანურს, არაყს, კონიაკს, დასანახავად მძულან ქალები და ანგელოზი კი ვარ, მგონია! ძმაკაცები მყავს ძველი ლოთები, მათი იმედი მშველის და მფარავს, წინასწარ ვიცი, როცა მოვეკვდები ჩემგან ვილაცა გამოხდის არაყს! თუმცა მლანძღვენ და-ძმა, ქვისლები, მე არაფერზე ვღარდობ და ვნაღვლობ!.. ბიჭებო, როცა გარდავიცვლები, დამასაფლავეთ სამწვადის ახლოს! დამასაფლავეთ, როგორც ეული, არ გთხოვთ პანაშვიდს, გვირგვინს, მიხაკებს, ოღონდ ქელეხში მოსატან ფულით ვალეები მაინც გადამიხადეთ! სადღეგრძელოებს ჩემსას სიწრფელე არ დაჰკარგვით, ჰგვანან გალობას, ამიტომ დროზე გადაიწყრეთ, არ დაეკარგოს შთამომავლობას! ჩემზე თქვით: „იყო ვაჟკაცი მსმელი და მოიხადა მან სუფრის ვალი, თუმცა დაიბადა ძალზედ ფხიზელი, გარდაიცვალა ძალიან მოვრალი!“

356-0160

დიმიდი დიმიტრი

ნოველა

დიმიდი და დიმიტრი საკანდიდატო დისერტაციას რომ დაიცვა, სახელი გამოიცვალა. მის მდგომარეობას უკვე აღარ შეეფერებოდა ეს სახელი. დიმიდი დიმიტრი, დიმიტრი დიმიდი. საკანდიდატო დისერტაციის დაცვა მის გარეშე კი არა, სოფელშიც უცხო ხილი იყო. გაიფხორაო დიმი, ვერ იტყოდით, თითქოს პირიქით, თავდადობის ელემენტაც გაუჩნდა გამოხედვაში. დიდი შრომა შეაღია ხარისხს, ამიტომ მომავალს იმედიანი თვალით უმხერდა.

ჩემი მიზანი არ არის კურდღლების ხოცვა, იტყოდა ხოლმე გამოცდილ მონადირესავით. მე დათვებზე უნდა ვინადირო! ის კი არა და, უსურის ტყეშიც წავალ, თუ დარწმუნებული ვიქნები, რომ იქ ნამდვილად დამხვდებიან ვეფხვები!

ერთი წელი იჯდა ლაბორანტად. ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები ეუბნებოდნენ, აიყვანე შონაფეები, ამეცადინე, ფულიც გაგიჩნდება და იქნებ დაოჯახდე კიდევო! დიმი კვლავ თავის სამოქმედო პრინციპს მოიშველიებდა დიდთა ნადირთა ხოცვისას და მიუბრუნდებოდა სამუშაოს. მეორე წელიც გავიდა, კვლავ ლაბორანტად იჯდა. მეტე შეუჩნდნენ და აიყვანა რამდენიმე მონაფე. ვერ ვერ უდებდა გულს მათთან მეცადინეობას, თვალი სამუშაოსაკენ გაურბოდა. მაგრამ მოვალეობის გრძნობა, რომლის ერთგულიც მუდამ იყო, აიძულებდა სიბუჯითეს, პატიოსან მუშაობას აბიტურიენტებთან, თანდათან ავიწყებდა დათვებსა და უსურის ვეფხვებს.

იმ წელს გამოცდებზე დარჩენა შესთავაზეს. არ ინდობა, დავისვენებ, შემოდგომით კი სამუშაოს განვახლებო, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. გამოცდებს მონაფეების სიმრავლე მოჰყვა. ისევე გადადო სამუშაო, ამ ერთ წელსაც მოვაშაადებ და ეგ იქნება, მიუბრუნდები სამუშაოსო, მაგრამ არ გამოვიდა, იმრავლა გამოცდებზე დარჩენამ და იბარტყეს მონაფეებმა. ფულს მიეჩვია. მოიყვანა ყოფილი აბიტურიენტი ცოლად. ბაკშიც შევიძინა. მეტი და მეტი ხარჯი იყო საჭირო. აქამდე თუ შერჩევით ღებულობდა აბიტურიენტებს, ახლა ყველა მსურველს გაუღო კარი. იქცა ბატონ დიმიტრიდ პატივისცემამ იმატა. სოფელში საკუთარი მანქანით ჩასვლას თავისებური ლაზათი ჰქონდა. აგარაკიც აიშენა, სახლიც თვითონ აიგო კოოპერაციული წესით. ხანდახან გაახსენდებოდა ხოლმე მიტოვებული სამუშაო და რაღაც უსიამოდ გაჰკრავდა გულში, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან. ერთი ცხოვრებით ცხოვრობს კაცი და ასეც უნდა იცხოვროს! განა ვინმეზე მეტი ჰქონდა ბატონ დიმიტრის ან რაიმე განსაკუთრებულს ითხოვდა ამ ქვეყნისგან? არაფერა ისეთს, ცხოვრობდა, შრომობდა.. ფინგანსაც შეეკრა, შეუმჩნევლად უკვე ვერ ხერხდებოდა ამდენი მონაფის მოსვლა. ეს შეეკრაც სარფიანი იყო. ფინგანის აგენ-

ტი ორჯერ იღებდა მისგან ფულს — საახლოლოდ და საპირველმართოდ. თვითონ კი შრომობდა, მაგრამ აი, ფინგანი რატომ იღებდა ამხელა ფულს, ეს იყო საკვირველი! რომ გაეფორმებინა ოფიციალურად, რეპუტაციორობსო, იტყოდნენ, გამოცდებს აღარ გააკარებდნენ, ესე იგი მონაფეებიც აღარ ეყოლებოდა.


ერთხელ მეგობრებთან ერთად სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა. ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლით. ლატარია უნდა გათამაშებულიყო და იმას ელოდნენ, თორემ ახლა ვინლა მიდის ფეხბურთის საყურებლად სტადიონზე?..

გაახსენდა დიმიდეს, უკაცრავად, ბატონ დიმიტრის, ამავე სტადიონზე პირველად რომ მოვიდა და ამდენი ხალხი ერთად თავშეყრილი ნახა, სინანულით გაიფიქრა: „აფსუს, ერეკლეს კრწანისის ბრძოლის

გამს, რაც აქ მაყურებელია, იმის ნახევარი მეტბრძოლი რომ ჰყოლოდა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყფოდა, გადარჩებოდა მეფე-ერეკლე სიბერის შერცხვენას, ჩვენს ქვეყანას და რამეს გადავრჩებოდით!..“ იჯდა ბატონი დიმიტრი ტრიბუნაზე, იჯდა და კვლავ გასცქეროდა ზღვა ხალხს. ლატარიის გათამაშებას რომ ელოდა, აღარ გახსენებია აღარც მეფე ერეკლე, არც დავით აღმაშენებელი, ღიმილიანი სახით მიუბრუნდა გვერდში მჯდომ მეგობარს: „კი არ გაგიკვირდეს, მაგრამ რა სურვილი მებადება, იცი? რაც აქ ხალხია, ნეტა ყველა ჩემი აბიტურიენტი იყოს, მე კი დამიდგან მიკროფონი!.. მშვენიერი გაკვეთილის ჩატარება შეიძლება! წარმოიდგინე, რა იქნება, ფულის მოტანის დრო რომ დადგება!“ მეგობარს გაეცინა.

ბატონმა დიმიტრამ შესანიშნავი სანადირო ტანსაცმელი და ჩექმები, სამლულიანი თოფი, სავაზნე და სხვა საჭირო აღჭურვილობა შეიძინა. ორი-სამი მწვეარი ყოველთვის ყფდა მის ეზოში. დადიოდა კურდღელსა და მწყერზე. მონადირის სახელი ერქვა და პირველი კაცი იყო!..

მერაბ დაღეშარი
ილუსტრაციები ბ. ლომიძისა



სურსათ-სანახევარი

7-90



უსიტყვოდ

გიორგის სიმღერა

ანუ

ახალი ძილისპირული

როდემდის?!

დაბადებისთანავე
ისე დავითარსენით.
სისხლს გვიშრობდა ნიადაგ
არაბი თუ სპარსელი!..

სულ ჭავარდენს ვიქნევდით,
ციხე გვქონდა ბინებადი..
დავითის და რუსთველის
ძალა გვაძლებინებდა!..

ნახანძრალს და იარას
ვიშუშებდით, და როცა
აღვდებოდით, ახლა სხვა
გვიგინებდა სალოცავს!..

ჩვენ მტუუანი ვიქავით,
მტერი — მუდამ მართალი..
და გვჩეხავდა უწყალოდ
მონღოლი თუ თათარი!..

ახლაც იმავე დღეში ვართ,
ოღონდ იმ განსხვავებით,
რომ სხეულს გვიჩიჯგნია
სულ ახალი სვავები —

გუშინდელი ძმაკაცი,
გუშინდელი სტუმარი,
აღალად რომ ვუყოფდით
მიწასა და პურ-მარისს!

იგივე კითხვა გვაწვალებს,
აქამდე რომ ვგოდებდით:
ღმერთო ჩემო, სანამდის?!
ღმერთო ჩემო, როდემდის?!

ბ. ა.

ლა-ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა-ლა,
ფუი, ეშმაკ-სატანას!
ვინ რა აღარ დააბრალო
საქართველოს პატარას!..

როცა იგრძნეს მადა დიდი, —
აქ დასაწლდნენ, იქ არა!
ინდი-მინდი, ფერად შინდი,
გამომიგდეს წიქარა!

რა დღეშია, აბა, ვნახო
ბარემ ხარი ნიკორა! —
აღარც მას აქვს საბალახო,
ვითომც არა იყო რა!

ჩემი ძველი საძმო მიწა
აღყას როგორ დაუძვრეს?!
კომბლე თუ არ გამომიჩნდა,
ამდენ მგელს რა გაუძლებს?!

ძია ძირუ ლელია

ღონიხობოგანა

ღონიხობოგა დღეს მირაჟია,
ძველადაც იყო, ალბათ, მირაჟი!
მისი მტერია, — ვისაც თვალს გვიხვეს
ანდა ფულს მალავს სადმე სილაში!

ღონიხობოგა ზოგის მოდაა,
სულ სხვა გრძნობის რომ დღეს აქვს სარჩული!
ღონ კიხობია, თითს უქნევს ვინც ლომს,
ირმის გლეჯით რომ არის გართული!

ღონიხობოგა ზოგჯერ როლია,
ამ ცხოვრებაში კაცს რომ სჭირდება!..
და აღარ არის გასაოცარი,
რომ დროსთან ერთად ისიც ძვირდება!

ალგაბარ აბესაძე



საბიკისა და იურორის
ქუჩის № 6
(1808). მარტი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ხოლძვანიძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირჯიანი, ნომადი
ბარათია, რევაზ თვარაძე,
ქემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი). ნოდარ შალა-
ზონია, ალექსანდრე სამსო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჩანსუდ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწოვაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადამცა ასაწყობად
23. 02. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 28. 03.
90 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. საალ-
ბრისცხო-საგამომცემლო თა-
ბაბი 1,9. საქართველოს კპ
ცკ-ის გამომცემლობა,
ლენინის 14. შეკვ. № 469
უე 04445. ტირაჟი 125.000
ქურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 48.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ствели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფაბი 20 კაბ.

ინდექსი 76187

